სოციალური უნარები ბავშვებისთვის

მეგობრების სკოლა

კარგი ამბავი გვასწავლის:

- იყავი მამაცი და ღია
- წადით ოცნებისკენ
- მარტივი კომუნიკაცია

ერთ დაბურულ ტყეში ქონდრის ბიჭუნა ჯუჯა-დუდა ცხოვრობდა. დუდა მაღალ ხეებსა და გვიმრის ბუჩქებში დაძვრებოდა; ციყვთან, ბაჭიასთან და ზღარბთან მეგობრობდა. წვიმისას ფუღუროში შეიყუჟებოდა, როცა დარი იდგა, ტყეში თამაშობდა და საინტერესო თავგადასავლებზე ოცნებობდა.

„მე ვარ ჯუჯა-დუდა, დუდას კენკრა უნდა.“ - მღეროდა და გემრიელი კენკრით იტკბარუნებდა პირს.

დუდას პაპასაც დუდა ერქვა. ის ტყის მცველი და მეხანძრე იყო. ყველაზე მაღალ, ტოტებგაშლილ მუხის ფუღუროში, სათვალთვალო „კოშკი“ ჰქონდა. იქიდან ხელისგულივით ჩანდა მთელი ტყე. ფუღუროში დიდი ჭოგრიტი იდგა. როცა დუდა-ბიჭი 6 წლის გახდა, პაპამ პირველად აიყვანა „კოშკზე“ და ჭოგრიტში ჩაახედა.

-რამხელა ყოფილა ჩვენი ტყე! - გაიოცა დუდამ.

-აქედან კარგად დაინახავ, ვინმე თუ დაიკარგება ტყეში ან ცეცხლი გაჩნდება. ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ სხვების დასახმარებლად, - უთხრა პაპამ. დუდას ძალიან გაუხარდა, რომ პაპამ ის დიდ ქონდრისბიჭად ჩათვალა.

ჯუჯა-დუდა ყოველდღე ადიოდა „კოშკში“ და დიდხანს რჩებოდა სამფეხა ჭოგრიტთან. ხან თავის მეგობარ ციყვს, ბაჭიასა და ზღარბს მოჰკრავდა თვალს, ხან ტყის უცნობ ბილიკებს, მაგრამ ყველაზე დიდხანს იქით იყურებოდა, სადაც დიდი ქალაქი მოჩანდა.

პაპასგან იცოდა, რომ ქალაქში, ადამიანები ცხოვრობდნენ. მათი ბავშვები სკოლებში დადიოდნენ და წიგნებიდან სწავლობდნენ. დუდას კი არც წიგნები ჰქონდა ტყეში, არც სკოლა... დუდასაც ძალიან უნდოდა სკოლაში სწავლა და ბავშვებთან მეგობრობა. მარტო ტყე-ტყე სიარული ჟდა კენკრის ჭამა მოსაბეზრებელიც იყო. სურდა, მასწავლებელი ჰყოლოდა, წერა-კითხვა და ანგარიში ესწავლა, დედამიწისა და კოსმოსის ამბები გაეგო, ჯუჯა-რობოტის შექმნაზე ოცნებობდა, მაგრამ უსწავლელად ვერაფერს გააკეთებდა.

- შენ ზღარბებივით კარგები ხომ არ გგონია ბავშვები და ტყესავით კარგი - სკოლა? - ებუზღუნებოდა ზღარბი, - საშინელებაა, მეგობარო. დილის ტკბილ ძილს არ დაგაცლიან. ზამთარ-ზაფხულ უთენია უნდა ადგე, ზურგზე დიდი ჩანთა მოიგდო და სკოლაში იარო.

- რასაც მასწავლებელი გიბრძანებს, ის უნდა აკეთო სკოლაში! განა ბაჭიებივით თავისუფლად ირბენ აქეთ-იქით? - ყურს აპარტყუნებდა ბაჭია, - ერთ ბუჩქს ვერ იპოვი იმ სკოლის ეზოში, გემრიელი კენკრა რომ ჭამო! დუდა, გახსოვს, ერთხელ ტყეში სამი ბიჭი რომ დადიოდა და ლამის თქვენი ჭოგრიტიც დაამსხვრიეს? ეგენიც იმ სკოლის მოსწავლეები იქნებოდნენ, რად გინდა ეგეთი სკოლა?

- ჰო, მეც გამახსენდა ეგ ცუდი ამბავი, -აწრიპინდა ციყვი,- განა ჩემსავით გაგინაწილებენ თხილსა და სოკოს? უფრო სწორად, კანფეტებს?! ყველაფერს თვითონ შესანსლავენ. დაგცინებენ, პატარა ხარო. თმას მოგწიწკნიან, ცარცით მოგთხუპნიან! შეიძლება, წიგნებშიც კი დაიკარგო. ის ცუდი ბიჭები რომ იქ დაგხვდნენ, მერე რას იზამ?

- თქვენ გინდათ, იმ ბიჭების გამო ტყეს არ გავცდე? ტყეში ვერაფერს ვისწავლი! სკოლაში უნდა ვიარო, იქ სადაც ბავშვებიც სწავლობენ! მათ ჩვენს ტყესაც გავაცნობ. აქაურობას ჩვენსავით შეიყვარებენ. დავმეგობრდებით. ნახეთ, თუ თქვენც არ მოგინდეთ სკოლაში შესვლა! იქნებ ტყის ექიმიც გავხდე ან რობოტი-ჯუჯა შევქმნა, იქნებ კოსმოსშიც გავფრინდე! სწავლის გარეშე ვერაფერს შევძლებ! იქნებ არც დადიან ეგეტები სკოლაშიდაიმიტომაც მოიქცნენ ასე ცუდად? -იხტიბარს არ იტეხდა დუდა ბიჭი და სულ ასე იმეორებდა:

„მე ვარ ჯუჯა-დუდა,
დუდას სწავლა უნდა!“

ერთ დღეს, ქონდრის ბიჭუნამ ტყეში შემოსული ადამიანები დაინახა ჭოგრიტით. ისინი ოთხნი იყვნენ. ორი - დიდი, ორი - პატარა. ქარს მათი საუბარი დუდას ყურამდე მოჰქონდა. როგორც ყველა სხვა ჯუჯას, დუდასაც ესმოდა ადამიანების ენა.

-ესეც, ზაფხულის ბოლო გასეირნება ტყეში, - ამბობდა მამა, - მალე სწავლა იწყება და სკოლა გელით. ტყეს შემოდგომის არდადეგებამდე დავემშვიდობებით. შემოდგომაზე კი ყვითელ ტყეს ვესტუმროთ, ბავშვებო, ლამაზი პეიზაჟები დავხატოთ.

-წელიწადის ყველა დრო ულამაზესია აქ, - ამბობდა დედა, - რა კარგი იქნება, რომ შემოდგომაზე კლასელებმა ერთად მოინახულოთ ტყე, ნახატები შექმნათ და საქველმოქმედო გამოფენა მოაწყოთ სკოლაში. ქველმოქმედებით ადამიანები სხვებს ეხმარებიან. მეგობრებთან ერთად სასიამოვნოა საქმის კეთებაც, მოგზაურობაც, სწავლაც და გართობაც. რომ იცოდეთ, რამხელა ბედნიერება გელით სკოლაში, დღესვე გაიქცეოდით იქ.

-იქ რომ არავის ვიცნობთ? არც მასწავლებელს არც ბავშვებს, რომ ვერ დავმეგობრდეთ?

- ბავშვები ძალიან იოლად პოულობენ საერთო ენას. სკოლა და თქვენი საკლასო ოთახიც სახლივით შეგიყვარდებათ. მასწავლებელიც თქვენი მეგობარი გახდება, -თქვა დედამ,- გაკვეთილებზე იმეცადინებთ, დასვენებებზე ითამაშებთ! ბიბლიოთეკაში ახალ წიგნებს გაეცნობით. კომპიუტერულ პროგრამებს ისწავლით.

-სპორტულ შეჯიბრებებსაც გამართავთ, კარნავალებსაც, თან ისეთი კარგი ბუფეტია სკოლაში! - დაამატა მამამ

-სკოლის თეატრალურ სტუდიაშიც ჩაეწერებით და სპექტაკლებსაც დადგამთ, - თვალები უბრწყინავდა დედას, - ჭადრაკიო, სიმღერის გუნდიო, კარატე, ხატვა - ყველანაირი წრეა სკოლაში. შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე დაისვენებთ, არდადეგებიც გექნებათ. ნეტა მე მივდიოდე სკოლაში ახლა!

-ნეტა მეც!- გაიმეორა მამამაც.

დუდას გული აუფანცქალდა და სწრაფად დაეშვა დაბლა. გადაწყვიტა, ეს ბავშვები გაეცნო და რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მათი დახმარებით მაინც წასულიყო სკოლაში.

„პაპა, ადამიანების სკოლაში მივდივარ, უნდა ვისწავლო! - დუდა“ - ჯუჯაფეხურით ჩაწერა დიდ ბლოკნოტში, რომელიც ჭოგრიტის გვერდით იდო, ხიდან დაეშვა და ბალახებში მიიმალა.

„მე ვარ ჯუჯა-დუდა,
დუდას სკოლა უნდა!“ - იმეორებდა და იმეორებდა გზადაგზა. ის ბიჭებიც რომ დამხვდნენ სკოლაში, მაინც არ გადავიფიქრებ სწავლასო. სკოლა დიდია, ყველანაირი ბავშვი შეიძლება აღმოჩნდეს იქო. ან იქნებ, ის ბიჭები სულაც არ დადიან სკოლაში და იმიტომაც მოიქცნენ ასე ცუდადო? - თავის თავს ელაპარაკებოდა გზაში დუდა.

პაწაწუნა ქონდრისბიჭუნა პირველად მამამ შენიშნა, მერე - დედამ და შვილებმა. თვალებს არ უჯერებდნენ. ლამის ჩურჩულით საუბრობდნენ, რომ პატარა არსება არ დაეფრთხოთ:
-საოცრებაა, არასდროს მინახავს ცოცხალი ქონდრისკაცუნა!
-მეგონა, მხოლოდ ზღაპრებში არსებობდნენ, ამ ტყეში უცხოვრიათ თურმე, შეხედეთ რა პატარაა, არ გაიქცეს, არ შევაშინოთ!

არ შეშინები დუდას. დედამ ხელისგული ახლოს მიუტანა თუ არა, უშიშრად აცოცდა, დადგა ხელისგულზე და იღიმებოდა.

-მეგონა, მხოლოდ ფიფქიას ზღაპარში არსებობდი, შენ კი, ჩვენს ტყეში გიცხოვრია თურმე, - მშვიდად უთხრა დედამ.

-ტყეში აღარ მინდა, სკოლაში სიარულზე ვოცნებობ, მინდა ბევრი რამე ვისწავლო და ბავშვებთანაც ვიმეგობრო. შეიძლება, ერთად ვიაროთ გაკვეთილებზე? თუ წამიყვანთ სკოლაში, ძალიან დამეხმარებით.

-როგორი გაბედული ყოფილხარ! რა გქვია? - ქონდრის-ბიჭუკელას მამამაც გაუწოდა ხელი.

- ჯუჯა-დუდას მეძახიან, 6 წლის ვარ!

- წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, ქონდრის-ბიჭუნა რომ ჩვენს სკოლაში წავიყვანოთ? მთელი სკოლა გადაირევა სიხარულით. ყველა ბავშვს მასთან მოუნდება თამაში! - თქვა გოგონამ.

-გაკვეთილებზე მოსვლაც აღარავის დაეზარება. სიხარულით გამოიქცევიან სკოლისკენ, - უპასუხა ბიჭუნამ.

-რა კარგია! ასეთი კლასელი არავის ეყოლება, ნეტა მალე დაიწყოს სკოლა! - იღიმებოდა გოგონა.

-თქვენს სკოლაში ცუდი ბავშვები ალბათ არ სწავლობენ, ჰო? - იკითხა დუდამ.

-ცუდი ბავშვები არ არსებობენ, - გაუღიმა დედამ.

დუდამ აღარ მოუყვა მათ ამბავი იმ ბიჭებზე, რომლებსაც ერთხელ ტყეში გადაეყარა. ლამის გადაიფიქრა მაშინ ჯუჯამ სკოლაში წასვლა, მაგრამ პაპამ დაარიგა, სხვების ცუდი საქციელის გამო შენ ნურასდროს შეფერხდები, ჩემო დუდა, მხოლოდ კარგისკენ უნდა გაიკაფო გზაო და სხვებსაც კარგიმაგალითი მისცეო. ეს სიტყვებო კარგად ახსოვდა დუდას.

ნანატრი დილაც დადგა. დუდას არასდროს ენახა ამდენი ბავშვი: ზოგი გახარებული, ზოგი - მოწყენილი და მშობლის გვერდით ატუზულიყო. ეტყობოდათ, რომ პირველკლასელები იყვნენ. ლამაზი ზურგჩანთები ეკიდათ, ლამაზად ეცვათ, მშობლები სამახსოვრო ფოტოებს უღებდნენ.

მთელ სკოლას წამში მოედო დაუჯერებელი ამბავი, რომ მათი მოსწავლე ტყის ქონდრის ბიჭუნა გამხდარიყო - ყოჩაღი და კეთილი დუდა!

ყველა ბავშვს დუდასთან მეგობრობა უნდოდა. დილაობით არავინ იგვიანებდა, ღიმილით ხვდებოდნენ ერთმანეთს. დასვენებებზე დუდასთან ერთად თამაშობდნენ. ზოგმა საკუთარი ხელით პაწაწუნა რვეულები გაუკეთა დუდას, ზოგმა პაწია ხელნაკეთი წიგნი, ზოგმა - ჩანთა, ზოგმა სათამაშო მოუტანა.



ბავშვების თხოვნით სკოლის მზარეული დუდასთვის ყოველდღე აცხობდა ფრჩხილისხელა კენკრიან კრუასანს. როცა დუდა დაფაზე წერდა, ბავშვები ხელისგულზე ისვამდნენ, რომ დაფას მისწვდენოდა. დუდას ზომის მერხიც დაუდგეს კლასში. რა ბედნიერებაა, როცა შენზე ზრუნავენ და რა კარგია, რომ ნატვრა აგიხდება!

ბავშვებთან ერთად ხატავდა, მღეროდა, კითხულობდა, მათემატიკურ თავსატეხებს ხსნიდა. სპორტულ შეჯიბრში გაუჭირდა მონაწილეობა, მაგრამ არაუშავსო, ამბობდა და სხვა ბავშვებს გულშემატკივრობდა. გოგონებიც მეგობრობდნენ მასთან და ბიჭუნებიც. მართალია, დუდას ზომის ლეპტოპი სკოლაში არ ჰქონდათ, მაგრამ ბავშვებმა და მასწავლებლებმა თხოვნის წერილი გაუგზავნეს ფირმას, რომელიც ლეპტოპებს აწარმოებდა და სთხოვეს პაწაწუნა ლეპტოპის დამზადება დუდასთვის. შეეძლოთ თოვლის პაპასთვისაც ეთხოვათ, მაგრამ ამჯობინეს, მეგობარს თვითონვე დახმარებოდნენ.

მალე დუდას კლასმა ექსკურსიაც მოაწყო ტყეში. დუდამ ბავშვებს მეგობარი ციყვი, ბაჭია და ზღარბუნა გააცნო. დუდაპაპამ კი ტყე დაათვალიერებინა მოსწავლეებს და ტყის ნობათით გაუმასპინძლდა. კოშკიც აჩვენა და უთხრა, რომ ამ კოშკიდან ის ხშირად გაჰყურებდა სკოლას, სადაც დუდა ეგულებოდა და ძალიან უხაროდა, რომ დუდა ნამდვილ სკოლაში სწავლობდა.

ზღარბმა, ციყვმა და ბაჭიამ ბავშვებს თხილი, წაბლი და შინდი მოუტანეს. ცოტა დარცხვენილები კი იყვნენ, მაგრამ მალევე გაშინაურდნენ. ციყვმა დაიწრიპინა - ნეტა მეც მიმიღებენ თქვენს სკოლაშიო? ბაჭიამ ყურები გააპარტყუნა - ბაჭიების წიგნები თუ გაქვთ იქო? ზღარბმა იკითხა - თქვენი მოსწავლეებიც ხომ არ იძინებენ ზამთრის ღრმა ძილითო? თუ იძინებენ, მეც ვივლიდი სკოლაშიო. თან დუდას სათითაოდ ჰკითხეს, ის ბიჭები ხომ არ შეგხვედრიაო? დუდა თავს აქნევდა, არაო, ჩვენს სკოლაში ყველა ერთმანეთზე უკეთესი ბავშვიაო. მგონი, საერთოდაც არ დადიოდნენ ის ონავრები სკოლაში და იმიტომაც იქცეოდნენ ცუდადო.

მთელ ქალაქს მოედო ჯუჯაბიჭის ამბავი. სკოლას ქალაქის მერიც კი ეწვია და მოსწავლეებს ახალი ბრძანება წაუკითხა - დღეიდან ამ სკოლას „ქალაქის საუკეთესო სკოლის“ სახელი მიენიჭა და მოსწავლეებს ახალი ფორმები გადმოგეცემათ საჩუქრადო. სკოლის ახალ ფორმაზე ქონდრის ბიჭუკელა დუდა-ჯუჯა იყო გამოსახული, ქვეშ კი წარწერა ჰქონდა „მეგობრების სკოლა“. ცხადია, ასეთივე ფორმა დუდამაც მიიღო მერისგან. ძალიან მოუხდა, ზუსტად მისი ზომა იყო.